თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა**

ქ. თელავი

N 33
07/06/2019

33-09-4-201906071604

**ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი საპროექტო წინადადების მოწონების**
**შ ე ს ა ხ ე ბ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24–ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 27 თებერვლის №120 დადგენილების მე-2 მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტების შესაბამისად,

1. მოწონებულ იქნეს ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი საპროექტო წინადადება თანდართული ფორმით.
2. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის №41).

არჩილ თხლაშიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

*დანართი*

**ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი საპროექტო წინადადება**

| N | რეგიონი | მუნიციპალიტეტი | პროექტის დასახელება | პროექტის კატეგორია | პროექტის სავარაუდო ღირებულება (ლარი) | ბენეფიციარი | საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია | ექსპერტიზა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | კახეთი | თელავი | სოფელ ქვემო ხოდაშენში ახალი ამბულატორიის შენობის მშენებლობა | შენობა-ნაგებობები | 78 000 | 2 000 | არის | არა |

არჩილ თხლაშიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო